შენობის ისტორიული კვლევა



საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, შოთა რუსთაველის პრ. №30/1
გრიბოედოვის ქ. №19/1





შემსრულებელი: ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს „ძველი უბანი“
იანვარი2012

1. მდებარეობა

საკვლევი ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის მთაწმინდისა და გარეუბნის საზღვარზე და შემოფარგლულია – **გრიბოედოვის, ალ. ჭავჭავაძის ქუჩებითა და შოთა რუსთაველის პროსპექტით** (ძველი თბილისის გამგეობა). ეს არის მთაწმინდის ფერდის ორ პარალელურ ქუჩაზე ცალ-ცალკე აგებული ორი სამსართულიანი П-ს ფორმის ნაგებობა, რომლებიც თავისი სტრუქტურით ქმნიან სხვადასხვა დონიან საერთო მართკუთხა ეზოს. თითოეულ ნაგებობას დამოუკიდებელი მისამართი აქვს. ზედა შენობა – გრიბოედოვის ქ №19/1, ქვედა ნაგებობა – რუსთაველის პრ. 30/1.

ამ ნაგებობებში წლების განმავლობაში განთავსებული იყო საქართველოს პროფკავშირების უწყება, მოგვიანებით კი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ნაგებობათა ინტერიერი და შიდა ეზო მოწყობილი იყო შენობათა ფუნქციური საჭიროების შესაბამისად.



ა ე რ ო ფ ო ტ ო 2006წ.

საპროექტო ნაგებობის მოპირდაპირე მხარეს, შოთა რუსთაველის პროსპექტზე, რ. ლაღიძის ქუჩის კუთხეზე დგას XIX ს-ის ბოლოს აგებული ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობა. რ. ლაღიძის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კი, ასევე XIX ს-ის ბოლოს აგებული სახაზინო თეატრის, დღევანდელი ოპერის შენობა.

ალ. ჭავჭავაძის და გრიბოედოვის ქუჩებზე კი საპროექტო ობიექტის მოპირდაპირე მხარეს და მის გვერდით დგას XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში აგებული აგებული მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლები. გრიბოედოვის ქუჩაზე იდგა ღმრთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ეკლესია, რომლის ნაცვლად 1930-იან წლებში აშენდა მოზრდილი, ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ოდნავ მოშორებით სამხატვრო აკადემიის შენობებია.

პროექტით გათვალისწინებულია შენობების რეაბილიტაცია და მათი ადაპტაცია სასტუმროდ (სამანსარდო სართულის დამატებით და დაშენებით გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან).



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

საპროექტო ტერიტორია

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკონსტრუქციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ობიექტი არქიტექტურული ძეგლია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – რუსთაველის პრ. №№27,28;
საცხოვრებელი სახლები – გრიბოედოვის ქ. №№16,17,18,20;
ოპერის შენობა – შოთა რუსთაველის პრ. №25/1;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

2. ნაგებობების და განაშენიანების ისტორია

აგების თარიღი – №19 – 1897-1900-იანი წწ; №30 – 1898 -1900-იანი წწ;

შემკვეთი – ორთავე ნაგებობის – გრიგორი არაფელოვი, I გილდიის ვაჭარი;

არქიტექტორები – სახლი №19 – პავ. შტერნი, სახლი №30 – კორ. ტატიშჩევი;

არქიტექტურული სტილი – ორთავე ნაგებობას XIX-XX სს-ის მიჯნის ეკლექტიკური ფასადები აქვთ. №30-ს ფრანგული ფსევდორენესანსული ელემენტები. ეზოს მხრიდან ფასადების ნაწილს ჰქონდა თბილისური ტიპის ხის გალერეა-აივნები;

ისტორიული ცნობები – რუსთაველის პროსპექტი ისტორიულ გარეუბანშია. შუა საუკუნეებში გარეუბანი მოქცეული იყო დღევანდელი ა. პუშკინისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩებს მიღმა. შოთა რუსთაველის პროსპექტის ადგილას ე.წ. „დიღმის გზა“ მიემართებოდა მთაწმინდის ფერდობებზე კი თბილისელებს ბაღ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული. ამ მიდამოებს „გარეუბანი“ ეწოდებოდა.



თბილისის გეგმა 1800წ



თბილისის გეგმა 1809წ. (განაშენიანების პროექტი)

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში გარეუბნის ხელახალი დასახლება დაიწყო და XVIII ს-იდან აქ ფეოდალთა სასახლეები გაჩნდა.

1795წ. აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს გარეუბანი თითქმის მთლიანად დაინგრა. XIX ს. დასაწყისიდან უკვე ჩაისახა რეგულარული ქუჩების ქსელი და დაიწყო ინტენსიური მშენებლობა: თანდათან აშენდა სამხედრო უწყების შენობები და სამთავრობო დაწესებულებები. ამავე პერიოდში გარეუბანი არისტოკრატიის საცხოვრებელ უბნად იქცა, სადაც ძირითადად მეფის მოხელეები, სამხედრო პირები და თავად-აზნაურები სახლდებოდნენ. 1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკიმ შეიმუშავა გარეუბნის განაშენიანების გეგმა და გოლოვინის პროსპექტი განაშენიანების მთავარ

ღერძად იქცა. დაიგეგმა ასევე ალ. ჭავჭავაძის და გრიბოედოვის (მაშინ კომენდანტის) ქუჩებიც.



თბილისის გეგმა 1844წ



თბილისის გეგმა 1867წ.

XIX ს. 50-60იანი წლებისათვის გოლოვინის პროსპექტი უკვე მთლიანად განაშენიანებული იყო. თბილისის 1844 წლის გეგმაზე საპროექტო ადგილზე აღნიშნულია წაგრძელებული ნაგებობა. П-ს ფორმის შენობა დგას გრიბოედოვის ქუჩაზეც. ამ ორ ნაგებობას შორის კი მართკუთხა ბაღია გამოსახული. 1867 წლის გეგმაზე საპროექტო ადგილზე იგივე ნაგებობებია გამოსახული, ოღონდ ექსპლიკაციით. გოლოვინის პროსპექტზე წაგრძელებული ნაგებობა №140 აღნიშნულია როგორც სასტუმრო „ჭავჭავაძე“ ლებედევისა, ხოლო გრიბოედოვის ქუჩაზე მდგომი ნაგებობა №110 აღნიშნულია, როგორც სახელმწიფო ქონების დეპარტამენტი.



თბილისის გეგმა 1902წ



თბილისის გეგმა 1903-05წწ.

XX ს-ის დასაწყისისთვის კი პროსპექტის არქიტექტურული სახე სრულად ჩამოყალიბდა: დიდების ტაძარი (დღ. სურათების ეროვნული გალერეა), რუსთაველის თეატრი, სახაზინო თეატრი (დღ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ეროვნული თეატრი). „თბილისის კრუჟოკი“ (ყოფ. ოფიცერთა სახლი), ე.წ. მელიქ აზარიანცის საცხოვრებელი სახლი და სხვ.

დღესაც მნიშვნელოვან ნაგებობებს წარმოადგენენ და განსაზღვრავენ ქალაქის განაშენიანების ხასიათსა და მხატვრულ სახეს.

ამ საზოგადოებრივ შენობათა გარდა რუსთაველის პროსპექტზე განლაგებული იყო შეძლებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლები. ყველა ეს სახლი სათანადო ზომის ეზოთი იყო მოცული, სადაც იდგა ე.წ. სამოსამსახურეო და დამხმარე სამეურნეო ნაგებობები.

ამავე დროს აშენდა ჩვენი საკვლევი ნაგებობებიც ძველი შენობების ნაცვლად. სახლის მშენებლობა გრიბოედოვის ქუჩაზე დაიწყო 1897 წელს, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე 1898 წელს. ორთავე ნაგებობის მშენებლობა 1900-იან წლებში დასრულდა.

ეს ნაგებობები პირველი გილდიის ვაჭარ არაფელოვს ეკუთვნოდა და როგორც ჩანს მათ კომერციული საჭიროებისათვის იყენებდა. 1900-იანი წლების გეგმებზე არაფელოვის კუთვნილი შენობა გრიბოედოვის ქუჩაზე აღნიშნულია როგორც №28 მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტი. ხოლო მისივე კუთვნილი ნაგებობა გოლოვინისა და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში – როგორც კავკასიის წყლების სამმართველო №17.

ამგვარი პრაქტიკა, კერძო სახლების გაქირავებისა სახელმწიფო უწყებებისთვის, იმ დროს ჩვეული მოვლენა იყო. მაგალითად არაფელოვის მოპირდაპირე სახლი გრიბოედოვის ქუჩაზე ჭავჭავაძეებს ეკუთვნოდათ, რომელშიც სხვადასხვა დროს განთავსებული იყო საპოლიციო ნაგებობათა ინსპექცია და კავკასიის გრენადიორთა დივიზიის კანცელარია.



თბილისის გეგმა 1913წ



თბილისის გეგმა 1924წ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს სახლები დაუნაწილდა მოსახლეობას და მათი დიდი ნაწილი გადაიქცა კომუნალურ საცხოვრებელ სახლებად, ნაწილში კი კვლავ სახელმწიფო დაწესებულებები განთავსდა. საბოლოოდ XX ს-ის შუა პერიოდისათვის აქ ჩამოყალიბდა შერეული, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ სახლთა ფუნქციის მატარებელი უბანი და ამავე მიმართულებით განვითარდა მთელი XX ს-ის მანძილზე. ჩვენს საკვლევ ნაგებობებში წლების

მანძილზე განთავსებული იყო საქართველოს პროფკავშირები. XXI ს-ის დასაწყისიდან კი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.



ნაგებობები საპროექტო ადგილზე, XIX ს-ის 80-იანი წწ.
თბილისის მუზეუმის არქივის ფონდი ©



გოლოვინის პროსპექტი, 1900-იანი წწ



რუსთაველის პროსპექტი, 2009წ

1880-იანი წლების დასაწყისის ფოტოზე ჩანს საპროექტო შენობების ადგილზე მდგომი მცირე ნაგებობები. იმ დროისთვის ოპერის თეატრის შენობის მხოლოდ საძირკველია ჩასხმული. კადეტთა კორპუსი კი უკვე აშენებულია.







ნაგებობები საპროექტო ადგილზე, XIX ს-ის 80-იანი წწ.
თბილისის მუზეუმის არქივის ფონდი ©

ფოტოებზე გამოსახულია აქ 1800-იან წლებში მდგომი ნაგებობები. აღნიშნულია 1844 და 1867 წლების გეგმებზე. ეს იყო მცირე ზომის ნაგებობები რომელთა ნაცვლად XIX-XX სს-ის მიჯნაზე აგეს „ჩვენი“ საკვლევი შენობები.

სცს არქივში დაცულია პირველი გილდიის ვაჭრის, ბაქოელი მეწარმის გრიგორი არაფელოვის შეკვეთით დამუშავებული პროექტები რომელთა მიხედვითაც აშენდა სახლები გრიბოედოვის ქუჩაზე და გოლოვინის პროსპექტზე. პირველი სახლი გრიბოედოვის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში არაფელოვმა შეუკვეთა პავ. შტერნს – ფონდი 192/8ა, საქმე №4982. პროექტი დათარიღებულია 1897 წლით. ხოლო მეორე სახლის პროექტი გოლოვინის პროსპექტისა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში – ალ. ტატიშჩევს – ფონდი 192/8ა, საქმე №5412. პროექტი დათარიღებულია 1898 წლით. ორთავე პროექტი დამტკიცებული იქნა და სახლების მშენებლობა დასრულდა 1900-იან წლებში (პროექტების გრაფიკული გამოსახულებები იხ. ქვემოთ).



ფონდი 192/8ა, საქმე №4982 ©



ფონდი 192/8ა, საქმე №5412 ©



საპროექტო ნაგებობები, 1900-იანი წწ
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

ამგვარად საარქივო ფოტოებისა და საქმეების ანალიზით გაირკვა, რომ სახლი №19 გრიბოედოვის ქუჩაზე აგებულია ერთსართულიანის ნაცვლად 1900-იანი წლებში, ხოლო სახლი №30 გოლოვინის გამზირზე ასევე მცირე ზომის ნაგებობების ნაცვლად 1900-იან წლებში.

- ***განაშენიანების გეოგრაფიული ხასიათი***

ქუჩათა ქსელის ფორმირებას განაპირობებდა არსებული რელიეფი და გზები მიმართული დიღმისკენ და წყნეთისკენ. გოლოვინის პროსპექტისგან განსხვავებით, რომელიც რეგულარული განაშენიანებით განვითარდა, მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთებზე შეფენილი ურბანული განაშენიანება, რელიეფს არის მორგებული. ქუჩები აქ ბუნებრივ მოცემულობებს მიჰყვება და თავისუფალი მოხაზულობისაა. ამასთან გოლოვინის პროსპექტის ზემოთ ყოველი მომდევნო ქუჩა ნაკლებ პრესტიჟულად ითვლებოდა, კლებულობდა ასევე ნაგებობათა ზომები და მშენებლობის ხარისხი.

- ***განაშენიანების არქიტექტურული ხასიათი***

XIX-XX სს-თა მიჯნაზე გოლოვინის პროსპექტის პერიმეტრს მიუყვებოდა ხარისხიანი არქიტექტურის, სოლიდურ ფასადებიანი, ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

უბნის ამ ნაწილში, XX ს-ის 20-იანი და ძირითადად 50-60-იან წლებიდან იწყება მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლების და დაწესებულებების მშენებლობა და შეიცვალა პროსპექტის მასშტაბი და მხატვრული სახე. 1930-50-იან წლებში პროსპექტზე გაჩნდა საკმაოდ დიდი, მონუმენტური შენობები: ყოფ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა, ე.წ. „იმელი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა და სხვ.

XX ს-ის მეორე ნახევარში მთლიანად დასრულდა რუსთაველის პროსპექტის ბოლო ნაწილი. 1960-იან წლებში აშენდა სასტუმრო „ივერია“, საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური შენობა და მოეწყო რესპუბლიკის მოედანი.

გამოყენება:

სახლი №19/1 გრიბოედოვის ქუჩაზე

თავდაპირველი – აიგო, როგორც საცხოვრებელი სახლი;

შემდეგი – მეცნიერების და მეღვინეობის კომიტეტი. საქართველოს პროფკავშირები, იუსტიციის სამინისტრო;

ამჟამინდელი – კერძო მფლობელობაშია. განსაზღვრულია რეკონსტრუქცია სასტუმროდ;

სახლი №30/1 რუსთაველის პროსპექტზე

თავდაპირველი – აიგო, როგორც საცხოვრებელი სახლი;

შემდეგი – სამისამართო ბიურო. კავკასიის წყლების სამმართველო №17. საქართველოს პროფკავშირები, იუსტიციის სამინისტრო;

ამჟამინდელი – კერძო მფლობელობაშია. განსაზღვრულია რეკონსტრუქცია სასტუმროდ;

3. საპროექტო სახლის აღწერა, გრიბოედოვის ქ. №19/1

თავდაპირველი გეგმარება – ნაგებობის ზოგადი გეგმარება დღესაც იგივეა. მხოლოდ მოგვიანებით დაემატა მინაშენები ეზოს მხარეს და რამდენჯერმე შეიცვალა შიდა გეგმარება დამატებული ან მოხსნილი ტიხრებით. თავდაპირველად ეს იყო ცოკოლის მაღალ სართულზე შემომდგარი, რელიეფს მორგებული, П – ს ფორმის, წაგრძელებული ორსართულიანი ნაგებობა (ეზოს მხრიდან სახლი სამსართულიანია), ცენტრალურ ნაწილში სადარბაზოსა და კიბის უჯრედის მართკუთხა ფორმის მცირე წანაზარდით ეზოს ფასადისკენ. I სართული თავლების, კარეტების სადგომების და სამეურნეო-სამოსამსახურო სათავსოებისათვის იყო განკუთვნილი. ზედა ორ სართული ეკავა ორ-რიგად ჩამწკრივებულ ოთახებს და ნაწილობრივ ხიხ ღია გალერეა-აივნებს ეზოსკენ. დამატებითი კიბის თითო უჯრედი იყო მოწყობილი ეზოს ფლიგელების ფლანგებზე და კიდევ ერთი მრგვალი ღია კიბე – ცენტრალური კიბის უჯრედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ეზოს მხარეს. ზედა ორი სართულის გეგმარება მსგავსი იყო და მხოლოდ მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სავარაუდოდ ზედა ორ სართულზე ცენტრალური კიბის უჯრედით გამოჯნული ორ-ორი მდიდრული ბინა უნდა ყოფილიყო, რამდენიმე საძინებლით, სასტუმრო, სასადილო, საბავშვო ოთახებით, კაბინეტებითა და დამხმარე სათავსოებით (სამზარეულო, სველი წერტილები, სამოსამსახურო ოთახებიც) კუთხით მიმართულ ფლიგელებში, რომლებიც გრძელი და ვიწრო დერეფნებით იყო გამოჯნული. თუმცა თბილისის 1900-იანი წლების გეგმებზე ამ ნაგებობაში სხვადასხვა დაწესებულებაა აღნიშნული. გადაკეთებების გამო თავდაპირველი ფუნქციური გეგმარების ზუსტად დადგენა ძნელია.



სამშენებლო ფენები – არსებობს რამდენიმე სამშენებლო ფენა.

I. XX ს-ის დასაწყისი – სახლის ძირითადი მოცულობა;

II. XX ს-ის I ნახევარი – ზედა ატიკის სართულის დაშენება და საფასადე ცვლილებები ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან. ეზოს ჩრდილოეთი ფლიგელის კიბის უჯრედის სვლების სტრუქტურის გადაკეთება. ხის ღია აივნების ამოშენება ზედა ორ სართულზე ეზოს მხრიდან და ღია მრგვალი კიბის გაუქმება;

III. XX ს-ის 70-იანი – გეგმარებითი ცვლილებები, ეზოს შემომფარგვლელი კედლების ხელახლა მოპირკეთება;

IV. XXI ს-ის დასაწყისი – საფასადე ცვლილებები და რემონტი.

ორიენტაცია – ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის გრძივი მიმართულება;

რელიეფი – მთაწმინდის ფერდობი დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. საკმაოდ არის დაქანებული ალ. ჭავჭავაძის ქუჩაც. ასევე ოდნავ დაქანებულია გრიბოედოვის ქუჩაც. ამიტომ საკვლევი ნაგებობა არათანაბარდონიან სიბრტყეზეა აგებული.

ეზო – ნაგებობას აქვს მართკუთხა შიდა ეზო, საიდანაც ბაზალტის საფეხურეებიანი კიბით ჩავდივართ ქვედა სახლის ეზოში. ეზო დასავლეთიდან შემოფარგლულია ნაგებობის ძირითადი მოცულობით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კი – ფლიგელებით. ეზოში შესასვლელი გვირაბი დატანილია ალ. ჭავჭავაძის ქუჩისკენ მოწყობილ ლითონის მარტივი (თავდაპირველად ჭვირული) ჭიშკრიდან.



ზედა ეზო

სართულიანობა – თავდაპირველი ნაგებობა სამსართულიანი იყო ცოკოლის ნახევარსარდაფული სართულით, რომელიც წარმოადგენდა ნაგებობის საფუძველს და მთელი სახლი მის საყრდენ კედლებზე იყო ამოზრდილი.

მოგვიანებით დააშენეს მეოთხე სართული. ნაგებობის სამხრეთ ფლიგელის ცოკოლის სართულს ქვემოთ დამატებით სარდაფია. I სართულის სიმაღლე – 4. 80მ. II სართულის – 4. 10მ. III სართულის – 4. 40მ. IV სართულის – 3. 70მ. სარდაფის – 3.80მ.

I სართული –



I სართულის გეგმა

480 სმ. სიმაღლის I სართულის გეგმარება თითქმის თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. გრიბოედოვის ქუჩისკენ ეს სართული მხოლოდ სასინათლო სარკმლების ზედა მონაკვეთებით, ეზოსკენ კი მთელი სიმაღლით გამოდის. 110 სმ. სიგანის საყრდენი კედლებით შემოფარგლული გეგმარება მართკუთხაა. ძირითად ნაგებობაში შიდა საყრდენი კედლით არის გამიჯნული და ორ რიგად გრძივად არის ჩამწკრივებული სხვადასხვა ზომის მართკუთხა ოთახები. შიდა საყრდენი კედლით გამიჯნული ორრიგა ოთახებია სამხრეთ ფლიგელშიც, ჩრდილოეთ ფლიგელში კი ცალფა ანფილადურ სათავსების რიგია (თავდაპირველად აქ თავლა და კარეტების სადგომი იყო). მთავარი ნაგებობის ცენტრალურ ბირთვს წარმოადგენს კიბის უჯრედის ქვედა 110 სმ. სიგანის კედლებით შემოსაზღვრული მართკუთხა მოცულობა. განიერი კედლებით არის შემოფარგლული მოცულობა ცენტრალურ სადარბაზოს ქვეშაც, დანარჩენი ოთახები კი 30-40 სმ. სიგანის კედლებით არის დატიხრული. ფლანგები მართკუთხა ფორმის კიბის უჯრედებით არის დასრულებული.

ფასადები:



ფასადი ბრიგოედოვის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩებიდან, 2012წ.



სახლის პროექტი ბრიგოედოვის ქუჩაზე, ფონდი 192/8ა, საქმე №4982, 1897წ. ©

სტრუქტურა – რთული რელიეფის ორი ქუჩის კუთხეზე, ოვალური მომრგვალებით გამოდის სამსართულიანი ნაგებობა XIX-XXსს-ის მიჯნის თბილისური არქიტექტურისათვის ჩვეული ეკლექტიკური სტილის ფასადებით – მდიდრულად მოჩარჩოებული მართკუთხა ღიობებით და ლითონის კიდული ჭვირული აივნებით (ზედა სართული დაშენებულია მოგვიანებით). დაქანებული რელიეფის გამო ალ. ჭავჭავაძის ქუჩისკენ სახლის ფასადი ოთხსართულიანია.

ფასადების დღევანდელი არქიტექტურა საარქივო პროექტთან შედარებით სახეცვლილია. როგორც ჩანს სახლი თავიდანვე პროექტისგან განსხვავებულად აშენდა. ზოგი რამ კი მოგვიანებითაც უნდა იყოს გადაკეთებული. ფასადების საფუძველს წარმოადგენს მარტივი მართკუთხა სასინათლო ღიობებით დასახსრული, ოვალურ წრეთარგიანი მრუდით შეკრული, მოგვიანებით ფილებით შემოსილი ცოკოლი, მდიდრულად მორთული სადარბაზო კარით გრიბოედოვის ქუჩიდან და ეზოში შესასვლელი მაღალი გვირაბით ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან. ფასადების ძირითადი აქცენტებია არშიაშემოვლებული სარკმლები და გეომეტრიულ ფიგურებიანი ფრიზი მეორე სართულზე. სართულთა შორის საფეხუროვანი პილასტრებია მცენარეულკვეთილობებიანი ფრიზებით. ზევით კი ეს კომპოზიცია შეკრულია მარტივად პროფილირებული პარაპეტით.

ამგვარად ფასადის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ეკლექტიკური სტილიზებული სტრუქტურა და ფსევდორენესანსული კვეთილი სახეები (სარკისებურ სარკმელთა მოჩარჩოება, საჭექი ქვები). სტილიზებული სტრუქტურები და მორთულობის ელემენტები სიმეტრიულად არის განაწილებული და ფასადებს ანაწევრებს, როგორც თარაზულად, ასევე შვეულადაც. სადარბაზოს შესასვლელში კი ხის მდიდრულად მოხარატებული და ჭვირული ლითონის ჩანართებიანი კარია. აქვს ორქანობიანი თუნუქის სახურავი.

ნაგებობის თავდაპირველი მოცულობისათვის სახასიათო იყო სართულების ზრდა სიმაღლეში აღმავალი პრინციპით. საკმაოდ მაღალი პირველი სართული შემომდგარი იყო დაბალ რუსტირებულ ცოკოლზე. კიდევ უფრო მაღალი მეორე სართული კი მონუმენტურობას მატებდა შენობას. მეოთხე სართულის დაშენების შემდეგ ნაგებობამ დაკარგა თავდაპირველად დასახული ეს პროპორცია და ახალი სტრუქტურული სახე შეიძინა.

თავდაპირველ პროექტთან შედარებით განსხვავებულია საფასადო მორთულობის სტრუქტურაც. თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო სარკმლებს შორის მოქცეული საფასადო მონაკვეთების მორთვა კვეთილობაში გამოყვანილი სარკმელთა გადანაკეცებიანი მოჩარჩოებით, რომბებისა და კონცენტრული კვადრატების მხატვრული სახეებით. დღევანდელი ფასადები ნაკლებად „დაჩითულია“. საპროექტო მხატვრული კომპოზიციიდან ჩემორჩენილია მხოლოდ სარკმელთა მოჩარჩოების წრეებიანი გადანაკეცები, დანარჩენი არე კი სარკმლებს შორის მოურთველია.

შეცვლილია ნაგებობის დამასრულებელი პარაპეტის სტრუქტურაც. თავდაპირველ პროექტში დახაზულია რთულპროფილიანი ლავგარდანის და ბალუსტრადის ტიპის პარაპეტის სისტემა, რომელიც კრავდა მანსარდის ტიპის სხვენის მოცულობას. მანსარდის სივრცე განათებული იყო ლავგარდანის ქვეშ გაყოლებული მართკუთხა ღიობებით. მეოთხე სართულის დაშენების დროს ეს სისტემა მოიშალა და ნაგებობა დასრულდა სადა, საფეხუროვანი პარაპეტით.

ეზოს მხრიდან – ძირითადი ნაგებობის თავდაპირველი სამსართულიანი ფასადი ეზოს მხარეს შემოფარგლული იყო ხის გალერეა-აივნების სისტემით. ცენტრში რიზალიტურად იყო ნაშვერი კიბის უჯრედი მართკუთხა პორტალიანი გასასვლელით ეზოში. იქვე, მართკუთხა ნაშვერის მარცხენა კუთხესთან დამონტაჟებული იყო ზედა სართულებზე ასასვლელი მცირეგაბარიტიანი მრგვალი კიბე. ამჟამად ხის გალერეა-აივნების სისტემა მთლიანად ამოშენებულია, დაშენებულია მეოთხე სართული, ფასადები კი შემოსილია ტუფის ბაციყვითელი ფილებით.



ეზოს ფასადი



სამხრეთი ფლიგელი



ცენტრალური პორტალი



ჩრდილოეთი ფლიგელი

ფასადები რამდენჯერმე გადაკეთდა. მთავარი ნაგებობის ფასადი ეზოსკენ ამოშენდა მართკუთხა სარკმლებიანი მოცულობით. ამოშენდა ასევე ეზოში გასასვლელი გვირაბის თაღზეც.

გადაკეთებულია ასევე ფლიგელებიც. მოიჭრა გრუნტი სამხრეთ ფლიგელის სარდაფის წინ და აიგო საყრდენი კედელი., რომლის მეორე მხარეს მოეწყო ზედა ეზოდან ქვედაში ჩასასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბე.

მხატვრული სახე – ნაგებობის მხატვრულ სახეს განაპირობებს რამდენიმე კომპონენტი:

– წინასწარ გათვლილი საფასადო კომპოზიცია და გეგმარება;

– რელიეფს მორგებული მოცულობითი სტრუქტურა;

– ნალესი კვეთილობებიანი საფასადო მორთულობა;

– კიბის უჯრედი;

ეს არქიტექტურული ფორმები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეთანხმებული.

დოკუმენტაცია:

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო, სადაც აღბეჭდილია ეს უბანი და ერთსართულიანი ნაგებობები დღევანდელი საპროექტო სახლის ადგილას. ასევე XX ს-ის დასაწყისის ფოტოები უკვე აგებული სახლებით. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფოტო, №799-5, №799-15; №799-167; №799-169; თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი;
ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა") საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1867წ. 1995წ. 1902წ. 1903წ. 1913წ. 1924წ;
თბილისის არქიტექტურული ძეგლების გეგმა –
თბილისის სამისამართო რუკა –
აეროფოტო –

შეფასება:

კულტურულ-ისტორიული – ეს ნაგებობა XX ს-ის დასაწყისის ძველი თბილისის სტრუქტურაა XIX-XX სს-ის მიჯნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული დეტალებით. სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

მხატვრულ-არქიტექტურული – ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა და მხატვრულად კარგად გააზრებული ეკლექტიკური სტილის ელემენტებიანი ფასადით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

სტატუსი – არქიტექტურული ძეგლი.

სიღრმეშია. ამ კიბით ავდივართ III სართულზე. კიბეს შემორჩენილი აქვს ლითონის ჭვირული მოაჯირი.



სადარბაზო



სადარბაზო



კიბის უჯრედი

ინტერიერი:

გეგმარებითი სტრუქტურა – ორ-რიგად ჩამწკრივებული სხვადასხვა ზომის ოთახები. დამოუკიდებელი შესასვლელებით. ოთახების ნაწილი საფასადო მხარეს ანფილადურადაც არის ერთმანეთთან დაკავშირებული.





III სართულის. ჰოლი





III სართულის გაშართოვებული დერეფანი

გაფორმება –

ინტერიერი სადაა. ოთახები პრაქტიკულად ყოველგვარი გაფორმების გარეშეა. თავდაპირველი მხატვრული ფორმები შემორჩენილია მხოლოდ სარდაფში. ინტერიერის დანარჩენი ნაწილი სამწუხაროდ მთლიანად გადაკეთებულია. კიბის უჯრედი და სადარბაზო ხელახლაა მოპირკეთებული ფილებით.

ფასადები:



ფასადი რუსთაველის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩებიდან



ფასადი რუსთაველის პროსპექტიდან

სტრუქტურა – ეს სახლი რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთი საინტერესო შენობაა. იგი სამსართულიანი მოზრდილი ნაგებობაა ბაროკოულ ჩანართებიანი, ეკლექტიკური საფასადო სიბრტყით. სახლი ოსტატურად არის მორგებული რუსთაველის გამზირის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის აღმართის კუთხეზე და მოკლე წაკვეთილი წახნაგით გამოდის ქუჩების შესაყარზე. ეს კუთხე აქცენტირებულია კრონშტეინებზე შესმული ერკერით. სახლის მეორე გვერდი კი ფლანკირებულია ორსაფეხურიანი რიზალიტით. ნაგებობის ფასადები მსხვილად არის რუსტირებული და მორთულია მასკარონებით და როკაილებით დამშვენებულ თავსართებიანი, სარკისებურ ზედაპირიანი სარკმელების რიგებით. ლითონის კრონშტეინებზეა შესმული ლითონისვე ჭვირულმოაჯირიანი კიდული აივნები. სართულებს შორის პროფილირებული სარტყლებია, ხოლო ზევით ნაგებობა სრულდება რთულპროფილიანი ლავგარდანით და რელიეფური ფრიზით. ნაგებობის I სართულში სხვადასხვა მაღაზიაა მოწყობილი და მოგვიანებით შემოსილია გრანიტის, ხოლო ცოკოლის ნაწილში ბაზალტის ქვის ფილებით. დასრულებულია მაღალი მანსარდის ტიპის მრგვალსარკმლებიანი სახურავით.



ფასადი რუსთაველის პროსპექტიდან



ფასადი ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან
თავდაპირველი პროექტი, ფონდი 192/8ა, საქმე №5412, 1898წ ©

ფასადების დღევანდელი არქიტექტურა, ისევე როგორც გრიბოედოვის ზედა ქუჩაზე გამომავალი №19 სახლი, საარქივო პროექტთან შედარებით სახეცვლილია. როგორც ჩანს იგი თავიდანვე პროექტისგან განსხვავებულად გაკეთდა. ზოგი რამ კი მოგვიანებითაც უნდა იყოს გადაკეთებული.

დეკორაციული კვეთილობა – საფასადო მორთულობისთვის გამოყენებულია კარგი ხარისხის პროფილირებული ბათქაში.



III სართულის



II სართულის



II სართულის



III სართულის

სარკმლები – თარაზული სარკმლების წირთხლები მართია ინტერიერისკენ. ქვედა საფასადო სარკმელი მართკუთხაა და ნალესი ჩარჩოებით არის შეკრული (სარკმელთა ზედა მონაკვეთებში კუთხეები ლილვაკებით არის შერბილებული). მეორე სართულის სარკმლები ოდნავ მაღალი და განიერია მესამესთან შედარებით და მის თავსართებში მასკარონებია ჩართული. ასევე ოდნავ განსხვავდება სარკმელთა ქვედა ნალესი მართკუთხედები ზომით და კვეთილი შემკულობის ვარიაციებით.





III სართულის აივნები



კაპიტელიანი სვეტი

აივნების სახე – საფასადე კიდული აივნები ლითონის ჭვირული ცხაურებით და არის მორთული. აივანთა უმრავლესობა ლითონის კრონშტეინებზეა შემომდგარი. ამგვარი აივნები შეკიდულია როგორც რუსთაველის პროსპექტის ასევე ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდანაც. დამატებით რუსთაველის პროსპექტის მხრიდან მეორე სართულზე ორ-ორი „ფრანგული“ აივანია სიმეტრიულად გადანაწილებული.



„ფრანგული“ აივნები



ფრიზი



სახურავი მრგვალი სარკმლებით

სართულებს ერთმანეთისგან პროფილირებული „ქამარი“ – ლავგარდანები გამოყოფს. ზემოთ კი სტილიზებულ კრონშტეინებზე შესმული საფეხუროვანი პარაპეტია, რომლის ძირს მიუყვება მარტივსიბრტყიანი, ნალესობაში რელიეფურად ნაძერწი გირლიანდებით შემკული ფრიზი.



ერკერი



საარძივო



რიზალიტი



საარძივო

ერკერი და მარჯვენა რიზალიტი ფლანკირებულია სტილიზებული ვოლუტებიანი კაპიტელებით მორთული მრგვალი სვეტებით.



სადარბაზო კარი რუსთაველის პრ.



საარძივო პროექტი

სადარბაზო ფლანკირებულია დორიულ ორდერიანი „მძიმე“ სვეტებით და დასრულებულია ფრონტონით. სადარბაზოს ხის კარი მდიდრულად არის მოხარატებული კვეთილი შემკულობით.

ეზოს მხრიდან – თავდაპირველი ორსართულიანი ფასადი ეზოს მხარეს შემოფარგლული იყო ხის გალერეა-აივნების სისტემით. ცენტრში რიზალიტურად

იყო ნაშვერი კიბის უჯრედი მართკუთხა გასასვლელით ეზოში. ამჟამად ხის გალერეა-აივნების სისტემა მთლიანად მოხსნილია. ფლიგელებზე დაშენებულია სართულები, ფასადები კი შემოსილია ტუფის მოყვითალო ფილებით.



ეზოს ფასადი



სამხრეთი ფლიგელი

№19/1 სამსართულიანი სახლი

ცვლილებები თავდაპირველ პროექტთან შედარებით

1. ეს ნაგებობაც თავიდანვე ოდნავ განსხვავებული სახით არის აგებული თავდაპირველ პროექტთან შედარებით, ძირითადი ცვლილებები კი მოგვიანებით გაკეთდა.

2. ნაგებობის ფასადის სტრუქტურა გრიბოედოვის ქუჩიდან თავდაპირველი პროექტის მიხედვით აიგო. თუმცა მისი დღევანდელი მხატვრული სახე განსხვავებულია თავდაპირველ პროექტთან შედარებით. დღევანდელი ფასადები ნაკლებად „დაჩითულია“. საპროექტო მხატვრული კომპოზიციიდან შემორჩენილია მხოლოდ სარკმელთა მოჩარჩოების წრეებიანი გადანაკეცები, დანარჩენი არე კი სარკმლებს შორის მოურთველია.

შემდეგდროინდელი ცვლილებები

3. შეცვლილია ნაგებობის დამასრულებელი პარაპეტის სტრუქტურა. მეოთხე სართულის დაშენების დროს ეს სისტემა მოიშალა და ნაგებობა დასრულდა სადა, საფეხუროვანი პარაპეტით.

4. საფასადე ცვლილება უფრო მეტად მოხდა ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან. აქ თითქმის მთლიანად შეცვლილია ცოკოლის სართულების სტრუქტურა და მხატვრული სახე. ლითონის ჭვირულ ცხაურიანი ჭიშკარი შეიცვალა ლითონის მარტივი ჭიშკრით.

5. მნიშვნელოვნად შეიცვალა ფასადები ეზოს მხრიდანაც. ამოშენდა ხის ღია გალერეა-აივნები. მოიხსნა ხვეული კიბე. 1970-იან წლებში კი ფასადები მთლიანად შეიმოსა ტუფის ბაციყვითელი ფილებით.

ინტერიერის ცვლილებები:

6. ორთავე ნაგებობაში ინტერიერის სახე თითქმის მთლიანად შეცვლილია მრავალჯერადი რემონტის და გეგმარებითი ცვლილებების შედეგად. მოიხსნა თავდაპირველი ტიხრები და გაკეთდა ახალი. №30/1 სახლის I სართულის მარჯვენა ფლანგზე მოეწყო ანტრესოლი.

7. შეცვლილია №19/1 სახლის სარდაფის ზოგი მონაკვეთის გეგმარება სხვადასხვა ტიხრებითა და ჩაშენებებით. გაუქმებულია ქვედა, 30/1 ნაგებობის სარდაფში ჩასასვლელი კიბე ეზოს მხრიდან.

8. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის ზედა სართულების ინტერიერის გეგმარება და მხატვრული სახე სხვადასხვა მასალის ტიხრებით. გადატიხრულია რამდენიმე დიდი ოთახი. ინტერიერის იატაკი, კედლები და ჭერი დაფარულია გვიანი რემონტების დროს მოწყობილი ხის, პლასტიკატის და სხვა ხელოვნური მასალის ფილებით; გაუქმებულია ბუხრები და ღუმელები.

9. მთლიანად არის გადაკეთებული №30/1 სახლის სადარბაზო რუსთაველის პროსპექტის მხრიდან და ცენტრალურ კიბის უჯრედი; გადაკეთებულია ასევე №19/1 სახლის სადარბაზო და კიბის უჯრედიც. შეცვლილია კიბის უჯრედის რამდენიმე სვლა ამ სახლის ფლიგელებშიც. დამატებულია შიდა ვიწრო დერეფნები.

კონკრეტული რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია რეკონსტრუქციის პროექტის შედგენისას და ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობაში არქიტექტორ-რესტავრატორის მონაწილეობა.

2. სასურველია გრანიტისა და ბაზალტის ფილების მოხსნა რუსთაველის პროსპექტის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან, ზონდაჟების მოწყობა და პირველი და ცოკოლის სართულის ფასადების თავდაპირველი სახის დადგენა. ორთავე ნაგებობის საფასადე შელესილობის და საღებავის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება. თავდაპირველი ფენებისა და ტონალობის დადგენა და ფასადების აღდგენისას ყველა ამ მონაცემებით ხელმძღვანელობა.

3. გამოსაცვლელია №19/1 სახლის მეორე და მესამე სართულის საფასადე ღიობთა (სარკმლებისა და აივანზე გამოსასვლელი კარების) ლითონ-პლასტმასის ალათები და სარკმლები აღსადგენია თავდაპირველი, ერთსიბრტყიანი სახით. ღიობთა ალათების მოქმედებაში მოსაყვანად შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება მათი მხატვრულ-არქიტექტურული სახის შენარჩუნების გარანტიით.

4. სასურველია ლითონის ჭვირული ჭიშკრის აღდგენა ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან.

5. მოსახსნელია ღიობთა სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ცხაურები და დასაპროექტებელია ერთიანი სტილისტიკით.

6. შესაძლებელი ჩანს ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან ცოკოლის სართულის მოდიფიცირება ახალი ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისად, ნაგებობის არქიტექტურული სტილისტიკის კონტექსტში.

7. მოსახსნელია ძველი და ახალი ტიპის კონდიციონერები და მათი მოჩარჩოება. სავენტილაციო მოწყობილობა სასურველია განთავსდეს სახურავზე;

8. სასურველია ამ ნაგებობათა მხატვრული სახისათვის შეუსაბამო ტუფის ფილების მოხსნა ეზოს მხარეს ფასადებზე.

9. სასურველია ინტერიერის დაპროექტებისას გათვალისწინებულ იქნეს შენობის პირვანდელი მხატვრულ-არქიტექტურული სტილისტიკა.

10. სასურველია №30/1 სახლის სარდაფის აგურის წყობის თაღების, სასინათლო ღიობების და გეგმარებითი სტრუქტურის შენარჩუნება.

ამგვარად:

– №30/1 სამსართულიანი სახლი აგებულია 1900-იან წლებში, აქ მანამდე არსებულ მცირე ზომის ნაგებობების ნაცვლად. სამივე სართული სარდაფთან ერთად ერთიან სტრუქტურას წარმოადგენს. XX ს-ის II მეოთხედში ნაგებობის უკანა ფლიგელებზე არის დაშენებული დამატებითი სართულები;

– №19/1 სამსართულიანი სახლიც (გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან ორსართულიანი) აგებულია 1900-იან წლებში, აქ მანამდე არსებული მცირე ზომის ნაგებობის ნაცვლად და სამივე სართული სარდაფთან ერთად ერთიან სტრუქტურას წარმოადგენს. XX ს-ის II მეოთხედში მასზე და მის ფლიგელებზე დაშენებულია მეოთხე სართული;

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაგებობები სხვადასხვა არქიტექტორის დაპროექტებულია, დამკვეთი ერთი და იგივ პირი იყო და ორთავე ნაგებობა მსგავსია გეგმარებითი სტრუქტურით. ამასთან ორთავე ნაგებობა მოიცავს საერთო შიდა ეზოს.

– 1920-იან წლებში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოხდა სახლების კომუნალიზაცია და ეს ნაგებობებიც ჩამოერთვა მფლობელს. ათწლეულების განმავლობაში ამ ნაგებობებში სხვადასხვა უწყებები იყო განთავსებული და ყოველი ახალი ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისად ხდებოდა გარკვეული სტრუქტურულ-გეგმარებითი ცვლილებები. რამდენჯერმე ჩანს ჩატარებული ინტერიერის და ფასადების რემონტი. ამასთან თითქმის ყველა ცვლილება ძირითადად ორთავე ნაგებობაზე ერთდროულად მიმდინარეობდა.

საფასადე ცვლილებები:
№30/1 სამსართულიანი სახლი

ცვლილებები თავდაპირველ პროექტთან შედარებით

1. როგორც ჩანს ნაგებობა თავიდანვე ოდნავ განსხვავებული სახით არის აგებული თავდაპირველ პროექტთან შედარებით, ზოგი მონაკვეთი კი მოგვიანებით არის შეცვლილი.

2. თავდაპირველ პროექტისგან განსხვავებით, სახლის მშენებლობის დროს რუსთაველის პროსპექტის მხრიდან შეცვლილია საფასადო სტრუქტურა. მოხსნილია ფასადის ცენტრალური ღერძის გარდიგარდმო, ფლანგების ცენტრალური თხელი რიზალიტები სახურავზე მოწყობილი აქცენტებითურთ. შედეგად ზედა ორ სართულზე 17 სარკმლის ნაცვლად 15 სარკმელია დატანილი და ასევე ამოღებულია პროექტში დახაზული ამ რიზალიტების თითო ვიწრო შესასვლელი ღიობი პირველ სართულზე. ასევე განსხვავებულია სარკმელთა ფორმა და მათი მორთულობის აქსესუარები. პროექტში დახაზული ორალათიანი თაღოვანი სარკმლების ნაცვლად რეალურად რენესანსული ტიპის ერთალათიანი „სარკისებური“ სარკმლებია მოწყობილი, ბაროკოული თავსართებით. განსხვავებულად არის მოწყობილი აივნები. შეცვლილია პარაპეტისა და ლავგარდანების სისტემაც. ასევე მაღალი ქანობიანი სახურავის ცენტრალურ მონაკვეთში დამატებულია ხუთი მრგვალი სარკმელი.

3. საფასადო სტრუქტურა თავდაპირველ პროექტისგან განსხვავებით შეცვლილია ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდანაც.

4. აქ მთლიანად მოხსნილია ფლიგელის ზედა რიზალიტი სახურავის წამახვილებული აქცენტითურთ, რადგან ზედა ნაგებობისთან გაერთიანების გამო ეს სტრუქტურული ფორმა ზედმეტი აღმოჩნდა.

5. ისევე როგორც რუსთაველის პროსპექტის მხრიდან, აქაც თავდაპირველ პროექტთან შედარებით განსხვავებულია სარკმელთა ფორმა და მათი მორთულობის აქსესუარები, პარაპეტი, ლავგარდანი და მაღალი სახურავის გაფორმება.

შემდეგდროინდელი ცვლილებები:

6. რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ძირითადად სახეცვლილია მხოლოდ პირველი სართული. აქ მთლიანად არის შეცვლილი პირველი სართულის ღიობების ფორმა. თანადროული ეპოქისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ალათიანი ღიობების ნაცვლად მოწყობილია განიერი მართკუთხა ვიტრინები და კედლები შემოსილია გრანიტის და ბაზალტის (ცოკოლი) ფილებით. ამგვარადვე არის სახეცვლილი ფრონტონიანი სადარბაზოს ფასადი. სარკმლების ალათები, ლითონის ჭვირული აივნები და მათი გაფორმება ძირითადად თავდაპირველია, თუმცა ეტყობა რემონტების კვალი.

7. უფრო მეტად არის სახეცვლილი ცოკოლის სართულის ღიობები ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან. ზოგი მათგანი ამოშენებულია, ზოგი კი ფორმაშეცვლილი. კედლები აქაც გრანიტის და ბაზალტის ფილებით არის შემოსილი.

8. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა XX ს-ის მეორე მეოთხედში, როდესაც ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან დააშენეს ერთი სართული ფლიგელის უკანა ნახევარზე. ეს დაშენება გაკეთდა ზედა, №19 სახლის რეკონსტრუქციის დროს და ამ დაშენების ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული სახეც ზედა შენობის დაშენების ფასადის მსგავსია. იმავე პერიოდში მოხდა დაშენება ეზოსკენ მიმართულ ჩრდილოეთ ფლიგელზეც.

9. იმავე დროს, ან ოდნავ მოგვიანებით, ეზოს მხრიდან ძირითადი ნაგებობის ფასადის ზედა ორ სართულზე მოიხსნა ხის ღია გალერეა-აივნები, რომლებიც გამოსახულია საარქივო ფოტოებზე, პირველი სართულის გალერეა-აივნები კი ამოშენდა.

10. თავდაპირველი დასახსრული ფლიგელები შეიკრა პერიმეტრის ხაზზე, 1970-იან წლებში კი ეზოს ფასადები მოპირკეთდა ტუფის ბაციყვითელი ფილებით.

11. მოეწყო ერთიანი მართკუთხა ეზოს, ორი სხვადასხვა სასიმაღლო დონის მქონე ბაქნის დამაკავშირებელი ბაზალტის საფეხურებიანი კიბე და საყრდენი კედლები.

მხატვრული სახე – ნაგებობის მხატვრულ სახეს განაპირობებს რამდენიმე კომპონენტი:

– წინასწარ გათვლილი საფასადო კომპოზიცია და გეგმარება;

– რელიეფს მორგებული მოცულობითი სტრუქტურა;

– ნალესი კვეთილობებიანი საფასადო მორთულობა;

ეს არქიტექტურული ფორმები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეთანხმებული.

დოკუმენტაცია:

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო, სადაც აღბეჭდილია ეს უბანი და ერთსართულიანი ნაგებობები დღევანდელი საპროექტო სახლის ადგილას. ასევე XX ს-ის დასაწყისის ფოტოები უკვე აგებული სახლებით. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფოტო, №799-5, №799-15; №799-167; №799-169; თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი;
ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა") საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1867წ. 1995წ. 1902წ. 1903წ. 1913წ. 1924წ;
თბილისის არქიტექტურული ძეგლების გეგმა –
თბილისის სამისამართო რუკა –
აეროფოტო –

შეფასება:

კულტურულ-ისტორიული – ეს ნაგებობა XX ს-ის დასაწყისის ძველი თბილისის სტრუქტურაა XIX-XX სს-ის მიჯნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული დეტალებით. სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

მხატვრულ-არქიტექტურული – ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა და მხატვრულად კარგად გააზრებული ბაროკოულ ჩანართებიანი ეკლექტიკური სტილის ელემენტებიანი ფასადით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

სტატუსი – არქიტექტურული ძეგლი.

დასკვნა და რეკომენდაციები

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

საკვლევი მონაკვეთი არის – ისტორიული გზის გაყოლებით XIX ს-ის შუა პერიოდში დაპროექტებულ პროსპექტზე განვითარებული განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე, XIX-XX სს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული ურბანული გარემო, XXს-ის დანამატებით.

ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები:

№30/1 – რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნაგებობაა. აგებულია XX ს-ის დასაწყისში. ეს არის ორი ქუჩის კუთხეზე კარგად მორგებული სამსართულიანი მოცულობა ბაროკოულ ჩანართებიანი ეკლექტიკური სტილის საფასადო სიბრტყით, მაღალქანობიანი გადახურვით და თანადროული ეპოქისათვის დამახასიათებელი გეგმარებითი სტრუქტურით. სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და ამ ღირსებების გამო ნაგებობა აღრიცხული იყო ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლად.

ამიტომ, ვინაიდან ეს ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია აუცილებელია მისი ფიქსაცია (დეტალური აზომვა) და საფასადო სახის შენარჩუნება. ამასთან, შესაძლებელი ჩანს ინტერიერის ადაპტაცია შენობის ახალი ფუნქციის მოთხოვნათა შესაბამისად, ძირითადი მხატვრულ-არქიტექტურული პარამეტრების შენარჩუნებით. ასევე შესაძლებელი ჩანს სამანსარდო მოცულობის დაშენება არსებული სახურავის სტრუქტურის შენარჩუნებით და ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მეორე ნაგებობა №19/1 – XX ს-ის დასაწყისის თბილისური სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინტერესო ნიმუშია, ეკლექტიკური ფასადით და თანადროული ეპოქისათვის დამახასიათებელი გეგმარებითი სტრუქტურით (ზედა სართული დაშენებულია მოგვიანებით). სახლის ფასადების სტრუქტურა, პროპორციები და მოცულობის რთულ რელიეფზე ოსტატურად მორგება, ამ სახლსაც წარმოადგენს უბნის და ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელ მოცულობად.

ეს ნაგებობაც არქიტექტურული ძეგლია და ამიტომ აუცილებელია მისი ფიქსაცია (დეტალური აზომვა) და საფასადო სახის შენარჩუნება. შესაძლებელი ჩანს ინტერიერის ადაპტაცია სახლის ახალი ფუნქციის მოთხოვნათა შესაბამისად, ძირითადი მხატვრულ-არქიტექტურული პარამეტრების შენარჩუნებით. ასევე შესაძლებელი ჩანს დაშენება სახურავის მთელ პერიმეტრზე ქვემოდ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

A 3

1:1000







რუსთაველის გამზირის მხრიდან საპროექტო შენობის ხედი

Elevation from Rustaveli avenue showing design building

ARTSTUDIO

A 3

1:1000





განშლა საპროექტო შენობის ჩვენებით ჭავჭავაძის ქუჩიდან

Elevation from chavchavadze street showing design building

ARTSTUDIO

A 3

1:1000





გრიბოედოვის ქუჩის ხედი საპროექტო შენობით

Elevation from Griboedovi street showing design building

ARTSTUDIO







ქ. თბილისი
რუსთაველის გამზირი №30 /
ჭავჭავაძის ქუჩა №1

გრიბოედოვის ქუჩა №19 /
ჭავჭავაძის ქუჩა №1
განთავსებული ნაგებობების
ისტორიულ-არქიტექტურული
კვლევა

II ნაწილი

(დამატებითი კვლევითი
სამუშაოების ჩატარების
საფუძველზე)

დამკვეთი:
შ.პ.ს. "რუსთაველი ფროფერთი"-ს
დირექტორი მინდია გადაევი

შემსრულებელი:
არქიტექტორი
ალა პროზოროვა

თბილისი
2015



ქ. თბილისი
რუსთაველის გამზირი №30 / ჭავჭავაძის ქუჩა №1
გრიბოედოვის ქუჩა №19 / ჭავჭავაძის ქუჩა №1
განთავსებული ნაგებობების ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

II ნაწილი

(დამატებითი კვლევითი სამუშაოების ჩატარების საფუძველზე)

ფასადი რუსთაველის გამზირიდან





ფასადი გრიბოედოვის ქუჩიდან

საკვლევი ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის – „მთაწმინდის“ და „გარეთუბნის" უბნების საზღვარზე, და შემოფარგლულია **ალ. გრიბოედოვის, ალ. ჭავჭავაძის ქუჩებითა** და **შოთა რუსთაველის გამზირით.** ეს არის მთაწმინდის ფერდის ორ პარალელურ ქუჩაზე ცალ-ცალკე აგებული ორი სამსართულიანი ნაგებობა, რომლებიც თავისი სტრუქტურით ქმნიან საერთო ეზოს. თითოეულ ნაგებობას დამოუკიდებელი მისამართი აქვს: ზედა შენობა – **ალ.გრიბოედოვის ქ. №19 / ალ.ჭავჭავაძის ქ. №1**, ქვედა ნაგებობა – **შ.რუსთაველის პრ. №30/ ალ.ჭავჭავაძის ქ. №1**. ორივე შენობა შედის თბილისის არქიტექტურული ძეგლის ნუსხაში.

2012 წელს შპს „ძველი უბანი“-ს მიერ ჩატარებული იყო წარმოდგენილი ობიექტის და მიმდენარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლვა (შემსრულებელი - ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილი). ამ კვლევის რეკომენდაციების საფუძველზე შესრულებული იქნა ობიექტის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი, რომელსაც 2014 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს სამეცნიერო საბჭოზე განხილვის შემდეგ მიეცა ნებართვა „სტადია პროექტისათვის“.

როგორც აღნიშნულია შპს „ძველი უბანი“-ს მიერ 2012 წელს შესრულებულ კვლევაში, საკვლევი ობიექტის რამდენიმე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ (საპარდო ფასადებზე, შიდა ეზოში და ინტერიერებში) გაჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები:

გვიანდელი დაშენებები (დამატებითი სართულები ალ. ჭავჭავაძის და ალ. გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან), მინაშენებები და ამოშენებები (შიდა ეზოში), მოსაპირკეთებელი სამუშაოები (ფასადებზე შ. რუსთაველის გამზირის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან, შიდა ეზოს ფასადებზე და ინტერიერებში). ამ ცვლილებების გამო თავდაპირველი არქიტექტურული დეტალების და ელემენტების დიდი ნაწილი დაიფარა გვიანდელი მოპირკეთებები, გადაკეთებულია ან საერთოდ დაკარგულია.

იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზუსტად განსაზღვრულიყო საპროექტო ობიექტის შენობის ის ნაწილები და ელემენტები, რომლებიც სავალდებულოა შენარჩუნებული იქნეს (არსებული, რომელიც ექვემდებარება რესტავრაციას) ან აღდგენილი იქნეს (არ ექვემდებარება რესტავრაციას, დაზიანებულია ან საერთოდ დაკარგულია) – საჭირო შეიქმნა ჩატარებულიყო დამატებითი საკვლევი სამუშაოები, რომლებიც არ შესრულებულა 2012 წელს. რადგან ეს შეუძლებელი იყო კონკრეტული სამუშაოების შესრულების გარეშე, რომელიც გულისხმობდა ობიექტის გვიანდელი ნაწილის დემონტაჟს და მის ადრინდელი ნაწილების და ელემენტების (მოგვიანებით გადაკეთებული) ზონდაჟს. ამისათვის დამკვეთმა 2015 წლეს წარადგინა საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოში მუშა პროექტის I ეტაპი - „სადემონტაჟო და საზონდაჟო სამუშაოები“ და ასევე მიიღო ნებართვა მის ჩასატარებლად.

2015 წლის მაისში დამკვეთი შეუდგა ამ სამუშაოების შესრულებას, რის შედეგადაც გახდა შესაძლებელი განსაზღვრულიყო საკვლევი ობიექტის ცვლილებების ხარისხი თავდაპირველი სახისაგან, ასევე მისი ის ნაწილები (ან ელემენტები), რომლებიც სავალდებულოა შენარჩუნებული ან აღდგენილი იქნეს ობიექტის რეკონსტრუქციის ჩატარების დროს. ასევე ახლანდელ კვლევაში წარმოდგენილია ობიექტზე გვიანდელი დაშენების პროექტირების საარქივო მასალები, რომელიც არ შესულა 2012 წლის კვლევაში.

აქვე სავალდებულოა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კვლევის დაწყებამდე ჩატარებული იქნა საკვლევი ობიექტის არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვები.

საკვლევი ობიექტის ფასადები ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან - 2015 წ





ქალაქის ცენტრალურ არქივში ინახება ალ. გრიბოედოვის ქუჩის №19-ში მდებარე სახლზე სართულის დაშენების პროექტი, შესრულებული 1930-32 წელს (ფონდი № 5, აღწრა 2, საქმე № 2688. პროექტის ავტორები ცაგარელი, საიჩუკი, ყარამანოვი). დაშენება ითვალისწინებდა 12 ბინას (იზოლირებულს და კომუნალურს) სსრკ სახბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კანტორის თანამშრომლებისათვის. ამ პროექტში არის რამდენიმე მომენტი, რომელიც მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კვლევისათვის. პროექტის განმარტებით ბარათში საძირკვლების და კედლების აღწერის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ კედლის წყობა შესრულებულია მთლიანად აგურით, კირის ხსნარზე. ამასთან "უპირატესად რუსული აგურით". ამ ფრაზით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნაწილი კედლებისა შესრულებულია არა რუსული აგურით, ანუ სავარაუდოთ "ქართული აგურით", რაც იმის მანიშნებელია, რომ ის ეკუთვნოდა ადრეულ შენობას. ასევე აღნიშნულია, რომ მე-2 და მე-3 სართულის ღიობების თავზე დაფიქსირებულია ვერტიკალური ბზარები (საპარადო სადარბაზოსა და შენობის კუთხეს შორის, ალ. ჭავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის ქუჩების გადაკვეთაში) - რაც მიუთითებს საძირკვლების ჯდომას ამ მონაკვეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სართულის ტუფით დაშენების შემდეგ, ასევე საძირკვლების გამაგრების შემდეგ - ამ მონაკვეთში ძველებურად შეიმჩნეოდა ანალოგიური ბზარები. საინტერესოა, რომ ზონდირების ჩატარების და ნაწილობრივი დემონტაჟის დროს ამ მონაკვეთში შენობის ქვეშ გრუნტში აღმოჩნდა საკმაოდ განიერი გვირაბი (0,5-0,7 მ დიამეტრით), წარმოქმნილი წყლის ნაღვენთებისაგან (ატმოსფერული წყლის ცუდად ორგანიზებული გამტარებისაგან?, გრუნტის წყლებისაგან?, დაზიანებული საინჟინრო ქსელებისაგან?).







შექმნილი გვირაბი
ფოტო 2015 წ.

პროექტში წარმოდგენილია მთელი შენობის გეგმა. თუ შევადარებთ პირველი და ბოლო სართულების გეგმებს (ალ. გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან) - XX საუკუნის დასაწყისის თავდაპირველ პროექტის, 1930 წლის დაშენების პროექტის და 2015 წლის აზომვების მიხედვით - შეიძლება ნათლად დავინახოთ გეგმარების ცვლილებების დინამიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან არის ის, რომ თავდაპირველი პროექტის პირველი სართულის გეგმა არ შეესაბამებოდა 1930-ანი წლების დასაწყისში არსებულ გეგმას. შეცვლილი იყო შენობის კონტური, შიდა ეზოს მხრიდან (მათ შორის მთლიანად გაქრა ღია აივნების სივრცე) და მრავალჯერადად იყო გადაგეგმარებული შიდა სივრცე.

1 სართული



თავდაპირველი პროექტი

1 სართული



1930 წ.

1 სართული



2015 წ.

3 სართული



4 სართული (დაშენება)



4 სართული (დაშენება)



პროექტში ასევე წარმოდგენილია საპროექტო ფასადები ალ. გრიბოედოვის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩების მხრიდან და შენობის 1930 წლის ფოტოსურათები. ფასადის ნახაზების, 1930 და 2015 წლების ფოტოსურათების შედარებით გამოვლინდა ზოგიერთი ცვლილება.

ფოტო 1930 წ. პარაპეტი დაშენებული სართული (უოარაპეტო) ფოტო 2015 წ.





ასე, მაგალითად, საკვლევი შენობის ტროტუარი 1930 წელს მოკირწყლული იყო მასიური ქვის პილებით, სავალი ნაწილი - მსხვილი რიყის ქვით, ხოლო ტროტუარსა და ქუჩის სავალ ნაწილს შორის სადრენაჟო მოკირწყვლა შესრულებული იყო წვრილი რიყის ქვით. ტროტუარის მოკირწყვლის დონე აშკარად უფრო დაბალია, ვიდრე დღევანდელი ასვალტირებული ტროტუარი. ასევე 1930 წლის ფოტოსურათზე კედელთან ტროტუარზე ჩანს სადრენაჟო დერეფნების ორმო, ლითონის ფურცლით დაფარული (თუნუქი?). ცოკოლის სართულის კედლები და პროფილირებული კარნიზი მის ზევით შესრულებულია ბაზალტიდან.

ფოტო 1930 წ. ქვის წყობა ტროტუარის "ფანჯარა" (დაფარული ფურცლით ?)





სხვილი რიკის ქვის საფარი (სავალე ნაწილი) მასიური ქვის საფარი (ტროტუარი)

წვრილი რიკის ქვის საფარი (სადრენაჟო ხაზი)



წვრილი რიყის ქვის წყობა (მომრგვალებული პროფილი)

ამავე ფოტოსურათზე ჩანს, რომ ცოკოლის კარნიზის ნაწილი (ქვედა მასიური ნახევრადწრიული პროფილი) შესრულებულია წვრილი რიყის ქვით და შემდეგ გალესილია.

1930 წლის ფოტოსურათზე შენობის ბოლო სართულს ამთავრებს მაღალი პარაპეტი. სახურავის დონე ადის პარაპეტზე მაღლა. 1930 წლის საპროექტო ნახაზებით ასეთივე პარაპეტის მოწყობა იყო გათვალისწინებული დამატებითი სართულისათვისაც. ამასთან შენობის სახურავი უნდა ყოფილიყო ერთქანობიანი, დახრით შიდა ეზოს მიმართულებით (წარმოდგენილია ჭრილის ნახაზი). ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაშენებული სართულის სიმაღლე (იატაკი-ჭერი) შეადგენს 3,5 მ, სიმაღლე დაშენებული სართულის ჭერიდან პარაპეტის უმაღლეს წერტილამდე პროექტის თანახმად უნდა ყოფილიყო 3,6 მ. თუმცა დღეისათვის ასეთი პარაპეტი არ არსებობს და შენობა მთავრდება მხოლოდ სახურავის კარნიზით, თავდაპირველი პარაპეტისქვეშა კარნიზის ანალოგიურად. შედეგად საპარადო ფასადების საერთო სიმაღლე ალ. ჭავჭავაძის და ალ. გრიბოედოვის ქუჩების მხრიდან 1,6 მ დაბალია, ვიდრე 1930 წლის პროექტით იყო გათვალისწინებული და მთელი შენობა გამოიყურება არაპროპორციულად და დაუმთავრებლად.

პროექტი (ჭრილი) და ფოტო - 1932 წ.





პარაპეტი
არ არსებობს

ფასადი გრიბოედოვის ქუჩიდან,



2015 წ.
პროექტი 1930 წ.

პარაპეტი

ფასადი გრიბოედოვის ქუჩიდან

ფასადი ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან



ფოტო 1930 წ.





ფოტო 2015 წ.

1932 წლის ფოტოსურათებში კარგად ჩანს ფასადის კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც დაიკარგა მისი მრავალრიცხოვანი რემონტების შედეგად - მეორე სართულის კუთხის მომრგვალებული კედლის დიდი ბრტყელი რომბი (ალ.ჭავჭავაძის და ალ.გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში).

გლუვი ზედაპირი (დაკარგული რომბი)



ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის მთელი საკვლევი ობიექტის (ორივე შენობა - №19|1 და №30|1) საპარადო ფასადებზე არ შემორჩენილა არცერთი თავდაპირველი კარები ან ფანჯარა (გარდა ორი საპარადო მოჩუქურთმებული კარისა). 1932 წლის ფოტოსურათზე ჩანს, რომ კარ-ფანჯრები იყო ორფრთიანები, ფრამუგებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერიერში რამდენიმე ადგილას შემორჩენილია ფანჯრის და კარის ხის ჩარჩოები, ფანჯრის რაფები და გვერდები, მოპირკეთებული სწორკუთხა ლირსიანი პანელებით (ვერტიკალური გვერდითა და ჰორიზონტალური ზღუდარებზე). ღიობის გვერდებზე შემორჩენილია დარაბების დასამაგრებელი ანჯამები.

ინტერიერებში ასევე არ შემორჩენილა არცერთი თავდაპირველი შიდა კარები.

ფოტო 2015 წ. ადრინდელი ჭარჭოები, რაფები, პანელები



საკვლევი ობიექტის ფასადები
ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან - 2015 წ

ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან №30/1 შენობის ნაწილზე გვიანდელი დანაშენი არ არის ასახული 1930-32 წლის პროექტში, რაზეც საუბარი იყო ზევით. თუმცა საამშენებლო მასალების ხარისხიდან და მისი გარე სახიდან გამომდინარე - ის დაშენებულია, №19/1 შენობაზე დაშენების ერთდროულად (უნდა აღინიშნოს, რომ სახურავის პარაპეტი, რომელზეც ვლაპარაკობდით ზევით, ასევე არ გააჩნია შენობის ამ ნაწილს, თუმცა მის ფუნქციას №19/1 შენობაზე ასრულებს ფანჯრის ქვედა ჰორიზონტალური პანელების ზოლი). არ შეიძლება არ აღინიშნოს - ეს დანაშენი №30/1 შენობაზე ტოვებს ორნაირ შთაბეჭდილებას საკვლევი ობიექტის საერთო სახეზე:

- ერთი მხრივ ეს დამატებითი მოცულობა ემსახურება შუალედურ კომპოზიციურ საფეხურად, №30/1 შენობის ძირითად, თავდაპირველ მოცულობასა და №19/1 შენობის სიმაღლეში გაზრდილ მოცულობას შორის;

- მეორეს მხრივ ამ მოცულობის ფასადის გარე სახე "თვალს ჭრის", მეზობელი №19/1 შენობის ფასადის მექანიკური კოპირების აბსურდულობით (როგორც სართულის სიმაღლე, ასევე დეკორატიული არქიტექტურული ელემენტები) №30/1 შენობის ფასადთან, რომელიც შესრულებულია სრულიად სხვა არქიტექტურულ სტილში. 1930-50-ან წლებში ძველ საცხოვრებელ შენობებზე სართულების დაშენება ძალიან გავრცელებული იყო თბილისში (დღეს მრავალი ასეთი შენობა შედის არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში). როგორც წესი ასეთი დანაშენები კომპოზიციური და არქიტექტურული სტილის თვალსაზრისით განსხვავდებოდნე პროფესიონალური კორექტულობით (განსაკუთრებით 1930-ანი წლების დაშენებები) - რაც არაფრით არ შეიძლება ითქვას №30/1 შენობაზე დაშენებულ გვიანდელ მოცოლობაზე.

ასეთივე აღმაშფოთებელი პროფესიონალური არაკორექტულ დამოკიდებულებაზე გვიხდება საუბარი მთელი საკვლევი ობიექტის მიმართ შენობის ფასადებზე და ინტერიერებში ჩატარებული დამატებითი გამოკვლევების შემდეგ (ნაწილობრივი დემონტაჟის და ზონდაჟების სახით).



ფოტო XX საუკუნის დასაწისი

თავდაპირველი ღია ხის აივანი

ერთქანობიანი სახურავი (შეღებილი თუნუქით დაფარული)



ფოტო 2006 წ.

მიშენება-აშენებული მოცულობა

ორქანობიანი სახურავი (მოთუთუებული თუნუქით დაფარული)

6-სართულიანი საცხოვრებელი შენობა (1950 წ)

როგორც უკვე აღნიშნული იყო 2012 წლის კვლევაში - 1930-ანი წლების შემდეგ საკვლევ ობიექტზე კიდევ რამდენჯერმე იქნა ჩატარებული ორივე შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები (როგორც ფასადებზე, ასევე შიდა ეზოში და ინტერიერებში). ფასადის კედლები №30/1 შენობის პირველი სართულისა და №19/1 შენობის ცოკოლის სართულისა მოპირკეთებული იქნა მოხვეწილი გრანიტის ფილებით ცემენტის ხსნარზე. იმის გამო, რომ №19/1 შენობა მოპირკეთებულია მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან, ხოლო ალ. გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან საპარადო კედლის ეს ნაწილი დაფარულია გვიანდელი რამდენიმე ფენის ნალესობით, საგოზავით და საღებავით - ამ შენობის საპარადო ფასადების აღდგენა თავდაპირველი სახის მაქსიმალური მიახლოებით არ წარმოადგენს სიძნელეს. შედარებით სირთულეს წარმოადგენს №30/1 შენობის გვიანდელი მოპირკეთების დემონტაჟი. რომელიც მიმდინარეობს ამჟამად და რომლის დროსაც გამოვლინდა შემდეგი მომენტები:

- საპარადო პორტიკის ბაზალტის ქვის კოლონები გეგმარებაში წარმოადგენს სრულ წრეს და შეიძლება დაუშვა, რომ ისინი იდგნენ რამდენადმე მოცილებული კედლის ძირითადი სიბრტყიდან. ცემენტის შემავსებელი კოლონებსა და კედელს შორის გვიანდელია და გაკეთდა შემდგომში გრანიტის ფილებით მოპირკეთებისათვის. მთელი პორტიკი თავდაპირველად აწეული იყო ტროტუარის დონიდან 1-2 საფეხურით (ასევე ბაზალტის) და დღევანდელ დონემდე ტროტუარის აწევის შემდეგ საფეხურის ზედა სიბრტყე გაუსწორდა ტროტუარს - რაც არ უნდა იყოს როგორც ფუნქციონალური, ასევე კომპოზიციური თვალსაზრისით;

- ფრონტონი საპარადო პორტიკის თავზე და სართულშუა (1-2 სართული) გრანიტის კარნიზის ხაზი გვიანდელია და როგორც ჩანს ფოტოსურათებზე წარმოადგენს მნიშვნელოვნად "გაწეულს" თავდაპირველი კარნიზიდან და კედლის ძირითადი სიბრტყიდან (რისთვისაც იყო მოწყობილი არმირებული კონსოლური კონსტრუქცია, შევსებული ბეტონით და აგურით და შემდეგ მოპირკეთებული მოხვეწილი გრანიტის ფილებით). ასეთი მოპირკეთება არის უაღრესად არაკორექტული. გვიანდელი კონსოლური კარნიზის დონეზე შესაძლებელი გახდა გახსნილიყო თავდაპირველი კედლის ძირითადი სიბრტყის და თავდაპირველი პროფილირებული კარნიზის მონაკვეთები შესრულებული ნალესობით. შეიძლება დაშვება, რომ შემორჩენილი საღებავის ფერი (საშვალო მუქ დამწვარ ოხრისა და ღია ტერაკოტას შორის) წარმოადგენს თავდაპირველს;

- კუთხის ერკერის ქვეშა პროფილირებული კრონშტეინები და აივნების ქვეშა ჭედური კრონშტეინები წარმოადგენენ თავდაპირველს, მაგრამ გვიანდელი სქელი ფენის მოპირკეთების გამო ნაწილი ამ კრონშტეინებისა "ჩაეფლო" კედლის სიბრტყეში;

- შ. რუსთაველის გამზირის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან პირველი სართულის მთელი ქვედა ნაწილი (ცოკოლი) №19/1 შენობის ცოკოლის სართულის ანალოგიურად შესრულებულია მსხვილი სწორკუთხა ბაზალტის ქვებით



ფასადი ჭავჭავაძის ქუჩიდან. 2015 წ
(გვიანდელი მოპირკეთების დემონტაჟი)

(თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ცოკოლის სართულის ტიპიური ელემენტი საკვლევი ობიექტის მშენებლობის პერიოდში).

წარმოდგენილი კვლევის დამთავრების პერიოდისათვის გვიანდელი მოპირკეთების გრანიტის ფილები თითქმის მთლიანად მოხსნილია. თუმცა მათი დამჭერი ცემენტის ხსნარი საკმაოდ მტკიცეა და მოითხოვს გარკვეულ დროს ფასადის ფრთხილი გასუფთავებისათვის.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი ობიექტის ორივე შენობის საპარადო კედლები, პირველი (ცოკოლის) სართულის ზევით ბოლოს 2002 წელს დაექვემდებარა რემონტი-რესტავრაციას. ამ სამუშაოების მიმდინარეობის დროს შეიცვალა ნაწილი არქიტექტურული დეკორატიული ელემენტებისა, ახლით, თავდაპირველის ანალოგიურით - რის შედეგადაც ამ დეკორატიული ელემენტების მასალა არაერთგვაროვანია და მოითხოვს დაწვრილებით რევიზიას ობიექტზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს. ამისათვის საზონდაჟო სამუშაოების ჩარჩოში საამშენებლო ხარაჩოების მოწყობამდე შენობის გარე პერიმეტრზე მოხსნილი, აზომილი და დაკონსერვებული იქნა თითო ეგზემპლიარი ყველანაირი დეკორატიული ელემენტისა.

გვიანდელი “მიშენებული” კარნიზი-მოპირკეთება (არმირებული კონსოლი)

მოპირკეთების ქვეშ ჩანს თავდაპირველი საპარადო ფასადის კედელი და სართულშუა კარნიზი – სავარაუდოთ თავდაპირველი საღებავის ფერით



ფასადი
რუსთაველის გამზირიდან
(ზონდაჟების და გვიანდელი ფენების დემონტაჟის პროცესი)
2015 წ.









გვიანდელი კარნიზი-მოპირკეთება





თავდაპირველი პროფილი

გვიანდელი მოპირკეთება

თავდაპირველი ცოკოლის ბაზალტის დათარახებული ქვა

თავდაპირველი კოლონის თანი
(ბაზალტის ქვა, თავიდან სრული ზრე)

ცემენტის შეკვრა
გვიანდელი მოპირკეთებისათვის

ფოტო 2015 წ.



ლითონის კოჭები, რიგელების გაძლიერება, კოლონები



ინტერიერებში მას შემდეგ, რაც მოხსნილი იქნა მოპირკეთების ელემენტები (კედლის შეწებებული ფანერის პანელები, თაბაშირი და სხვა, შეკიდული ჭერები თაბაშირმუყაოს, თაბაშირის და სხვა) მრავალ სათავსოში გაიხსნა საკვლევი შენობის მზიდი კონსტრუქციების გვიანდელი გამაგრებების და გაძლიერებების კონსტრუქციული ელემენტები; გვიანდელი კონსტრუქციები ძველის ადგილზე; ამოშენებები ძველი ღიობების, ასევე გვიანდელი კედლები და ტიხრები.





მაგალითად შ. რუსთაველის გამზირის მხრიდან №30/1 შენობის ცენტრალური შესასვლელის საპარადო ვესტიბიულში, ხის ჩარჩოში მოთავსებული ნახევრადწრიული სარკის უკან, გაიხსნა სილიკატური თეთრი აგურით აშენებული კედელი. ეს ფაქტი მიუთითებს იმას, რომ ვესტიბიული მოწყობილი იყო ძველ საპარადო კიბის უჯრედში ვიწრო მისასვლელის ადგილზე (რაც ასევე ჩანს შენობის თავდაპირველი პროექტის პირველი სართულის გეგმაში), არა უგვიანეს XX საუკუნის მეორე ნახევრისა.

ამავე საპარადო სადარბაზოში მას შემდეგ, რაც კედლებიდან მოხსნილი იქნა გვიანდელი ქვის მოპირკეთების ფილები, მეორე სართულის კედელზე, ცემენტის სქელი ხსნარის ქვეშ, აღმოჩნდა გაჯის ნალესობაზე შესრულებული ქალის პროფილის მხატვრული მოხატულობის პატარა ფრაგმენტი (20 x 30 სმ). ფრაგმენტი მდებარეობდა კარის ღიობის თავზე, რომელიც ამოშენებული იყო სილიკატური აგურით. სამწუხაროდ ვერსად სხვა ადგილზე ვერ მოხერხდა მოხსნილიყო ცემენტის ხსნარი ისე, რომ გახსნილიყო ამ მოხატულობის სხვა ფრაგმენტები – ნალესობა ჩამოცვივდა.



ამავე სათავსოს ჭერზე, რომელზეც მოგვიანებით მოწყობილი იყო თაბაშირის ფილის შეკიდული ჭერის კონსტრუქციები, გამოჩნდა ორი მრგვალი თაბაშირის ნაძერწი როზეტი, ელექტრო ჭაღისათვის. თუმცა ისინიც გვიანდელია, შესრულებულია არა უადრეს 1960-ანი წლებისა (პერიოდი, როცა ორივე შენობამ დაიწყო ადმინისტრაციული დაწესებულების ფუნქციის შესრულება) და მიმაგრებული იყო შელესილ ხის შელარტყვაზე (ე.წ. “დრანკა”). ნალესობაზე

ასევე არ აღმოჩენილა მოხატულობა - მხოლოდ რამდენიმე ფენა საღებავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ასეთივე როზეტები, ანალოგიურად დამაგრებული, აღმოჩენილი იქნა №19/1 შენობაში ალ. გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან შესასვლელის საპარადო სადარბაზოს ჭერზე. მის კუთხეებში, სადაც დამაგრებულია ეს როზეტები, შემორჩენილია პროფილირებული კარნიზების ფრაგმენტები.






ორივე შენობის სხვა ოთახებში და დერეფნებში, გვიანდელი შეკიდული ჭერების ქვეშ, ასევე შემონახულია სხვადასხვა სიდიდის და პროფილის ჭერის კუთხის კარნიზების ფრაგმენტები, ხოლო ჭერების სიბრტყეებში - ალფრეული ორნამენტების ფრაგმენტები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, თითქმის ყველა შესრულებულია ქაღალდზე, რომლის ფენის ქვეშ დარჩა ხის შელარტყვაზე (ე.წ. "დრანკა") მოწყობილ გაჯის ნალესობაზე შესრულებული ადრეული შენაღების რამდენიმე ფენა. კედლებზე რამდენიმე შემორჩენილი ალფრეული სამუშაოების პატარა ფრაგმენტები ასევე მოხვდა გვიანდელი შენაღებების ფენების, "დუბლიაჟის" ქაღალდის (რომლისთვისაც ხშირად გამოყენებული იყო საბჭოთა დროის გაზეთები) და გვიანდელი მოხატულობის ორნამენტებიანი შპალერის ქვეშ. საინტერესოა, რომ კედლებზე ეს ფრაგმენტები ჩანს მხოლოდ იმ ადგილებზე, სადაც აშენებული იყო გვიანდელი ტიხრები - დანარჩენი ნალესობები ჩამოყრილი იქნა შემდგომი გადაკეთებების დროს.



ფოტო 2015 წ

ორივე შენობის უმრავლესი სათავსების იატაკები მოწყობილი იყო პარკეტით. თუმცა ზონდირების შემდეგ აღმოჩნდ,ა რომ ყველგან პარკეტი მოწყობილია იატაკის ფიცრებზე, რომელიც თავის მხრივ მოწყობილი იყო შავი იატაკით, ხის კოჭებზე (2-3 სართული), ან რკინის შველერებზე, აგურის შემავსებლით (1-2 სართული).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორივე შენობაში, შ. რუსთაველის გამზირიდან და ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან შესასვლელი საპარადო სადარბაზოების კიბის მარშები.





№30/1 შენობის კიბეზე თავდაპირველ ელემენტად დარჩა მხოლოდ ჭედური მოაჯირი, ხის სახელურით. თვითონ კიბის საფეხურების მოპირკეთება გრანიტის მოხვეწილი ფილებით გვიანდელია, შენობის უკანასკნელი გადაკეთების დროინდელია (მისთვის ადმინისტრაციული დაწესებულებად ფუნქციონირების დანიშნულების). სამწუხაროდ საფეხურების მოპირკეთების თავდაპირველი მასალის და ფორმის დამადასტურებელი ფაქტი არ შემორჩენილა. ასევე დაკარგულია ჭედური რიკული-ფანარი, კიბის პირველ საფეხურზე (რომლის ადგილზე 2002 წელს დაყენებული იქნა, მარსის ბრინჯაოს ფიგურა).

უფრო რთულია სიტუაცია №19/1 შენობის საპარადო სადარბაზოს კიბესთან დაკავშირებით. გვერდითა მხრიდან კიბის მხოლოდ ორ მარშზე ჩანს, ჩამოსხმული თუჯით შესრულებული საფეხურის სამკუთხა ელემენტები. სხვა მარშებზე იგივე ელემენტები მოქცეული იყო ცემენტის ხსნარში და მოაჯირი მაგრდებოდა უშუალოდ საფეხურის ქვის ელემენტზე, რაც არალოგიკურია ამ კონსტრუქციის და ტიპის მოაჯირისათვის. საფეხურის გვიანდელი მოპირკეთების ქვების დემონტაჟის შემდეგ, ცემენტის ფენის ქვეშ გამოჩნდა საფეხურების შუბლის ნაწილი, შესრულებული ჩამოსხმული თუჯით, ისევე როგორც გვერდითა სამკუთხა ელემენტები ასევე შესრულებული ჩამოსხმული თუჯით. მარშების ქვედა ნაწილი, პლასტმასის პროფილების დემონტაჟის შემდეგ, აღმოჩნდა ნაწილობრივ დაფარული მიდუღებული რკინის ფურცლებით ფაქტურული ზედაპირით ან

მთლიანად დაცემენტებული. სავარაუდოა მთელი კიბე თავდაპირველად იყო აჟურული, ასაწყობი, შესრულებული ჩამოსხმული თუჯის ელემენტებით და ქვის საფეხურებით.

ფოტო 2015 წ, შენობა №19/1 საპარადო სადარბაზოს კიბე თუჯის ჩამოსხმული საფეხურების მოპირკეთება



შიდა ეზო ორივე შენობისათვის საერთოა. მოგვიანებით მრავალი გადაკეთებების შედეგად შიდა ეზო მთლიანად დაკარგა თავისი თავდაპირველი, თბილისისთვის ტიპიური სახე და სტრუქტურა. ხის აივნები ან დაშლილია, ან მათ ადგილზე ამოშენებულია ახალი კედელი ჩვეულებრივი ფანჯრის ღიობებით. რეკონსტრუქციის დროს (როცა შენობაში განთავსებული იყო ოფიციალური დაწესებულება) შიდა ეზოს ფასადის კედლები მთლიანად მოპირკეთებული იქნა ქვიშაქვის ფილებით, ხოლო კიბის უჯრედებიანი სადარბაზოების შესასვლელები - მოჩარჩოებულია მოხვეწილი გრანიტით. ჩვრნი კვლევის წარმოების დროს მიმდინარეობდა შიდა ეზოს კედლებიდან მოპირკეთების ქვების დემონტაჟის სამუშაოები.



თავდაპირველი პროექტი



გვიანდელი ვესტიბიული 2015 წ.





გადარჩენილია თავდაპირველი საალფრეო ნამუშევარის ფრაგმენები (№30/1)

გვიანდელი კარნიზი-მოპირკეთება



შიდა ეზო, 2015 წ
(გვიანდელი მოპირკეთების დემონტაჟის პროცესი)

ასევე ამჟამად მიმდინარეობს ინტერიერში გვიანდელი მიპირკეთების სხვადასხვა ქვის ფილების დემონტაჟის სამუშაოები - ორივე შენობის საპარადო სადარბაზოების კიბის უჯრედების კედლებიდან ქვიშაქვის, შ. რუსთაველის გამზირის მხრიდან №30/1 შენობის პირველი სართულის (ყოფილი მაღაზიები) კედლებიდან, იატაკებიდან და კიბიდან - მარმალილოს, გრანიტის და სხვა.

იმდენად, რამდენადაც წარმოდგენილი კვლევის დაწყებამდე არ იყო აღმოჩენილი სათანადო მასალები (მაგალითად ფოტოსურათები, ჩანახატები ან არქიტექტურული აზომვები), რომლებიც მიუთითებდა ჩვენი ობიექტის ინტერიერების თავდაპირველ სახეს - გვიანდელი ფენების დემონტაჟს ქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ობიექტზე საზონდაჟო სამუშაოების ჩატარების შემდეგ სამწუხაროდ გვიხდება აღნიშვნა, რომ ეს მრავალჯერადი ფენები და შიდა სივრცის გვიანდელი გადაგეგმარებები აღმოჩნდა კატასტროფიული ორივე შენობისათვის როგორც არქიტექტურული ძეგლებისათვის, რათა შემორჩა მხოლოდ თავდაპირველი ინტერიერის დეკორის ელემენტების ზოგირთი ფრაგმენტი და პრაქტიკულად არ შემორჩენილა თავდაპირველი შიდა გეგმარებითი სტრუქტურა. ამიტომ სრულიად ლოგიკური იქნებოდა დაგვეშვა შესაძლებლობა საკვლევი ობიექტის შიდა სივრცის აბსოლუტურად ახალი გეგმარებითი სტრუქტურის შექმნა შ. რუსთაველის გამზირისაკენ, ალ. ჭავჭავაძის და ალ. გრიბოედოვის ქუჩებისაკენ მიმართული არსებული საპარადო ფასადების (სავალდებულო რესტავრაციით) შენარჩუნებით. ამასთან ახალ, თანამედროვე ინტერიერებში შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული "თავდაპირველი" არქიტექტურული ელემენტები, რომლებმაც მოახწიეს დღემდე ნორმალურ მდგომარეობაში (მაგალითად საპარადო კიბეების

ჭედური ან ჩამოსხმული ლითონის ელემენტები), ხოლო ის ელემენტები, რომლებიც შემორჩნენ მხოლოდ ფრაგმენტულად - გამოყენებული იქნეს როგორც სტილისტური თემა ახალი ინტერიერების პროექტირების ვარიაციებისათვის (ფასადის ფანჯრებზე და კარებებზე შიდა ხის დარაბები, ჭერის პროფილირებული კარნიზები, საპარადო სათავსოების კედლებზე და ჭერებზე საალფრეინო და სამხატვრო სამუშაოები).

არქიტექტორი  *ალა პროზოროვა*

07. 2015 წ

დანართი

ქალაქის ცენტრალურ არქივში შენახული ალ. გრიბოედოვის ქუჩის №19-ში მდებარე სახლზე სართულის დაშენების პროექტი
1930-32 წწ

ფონდი № 5, აღწრა 2, საქმე № 2688

პროექტის ავტორები ცაგარელი, საიჩუკი, ყარამანოვი

Копия.

ЗПО

26 октября 1920 г.

№ 2675

Тифлис, Руставели № 36.

В З.А.К. Р.К.К. или К.Г.У.

Заключение № 1696

6

Согласно вашей просьбе 22 октября 1920 г. Сотрудники ЗПО-а инж. Цагарели и Бабасян и техн. Адмиралов произвели осмотр дома на углу Чавчавадзевской и Грибоедовской ул. № 19 для выяснения возможности надстройки над ним одного этажа.

Дом 3-х этажный, расположен на склоне Чавчавадзевской ул. и выходит фасадом на обе улицы (см. приложение № 1-план - 1-го этажа, где стрелкой показан склон Чавчавадзевской улицы), при-чем нижний этаж является переходным от полуподвального к фасадам по Грибоедовской ул.) к первому (с фасада по Чавчавадзевской ул.). Кроме того, под частью дома, в плане, заштрихованной, имеется подвал высотой 3 м.

Высота всех 3-х этажей по 4,5 м. Толщина стен в подвальном этаже - 1,10 м., в первом - 1,0, во втором - 0,90 м. в третьем - 0,75 м. Кладка стен сложена на хорошем известковом растворе, преимущественно из русского кирпича, в нижнем этаже. Состояние кладки удовлетворительное.

При осмотре дома обнаружены трещины "а-а" (см. приложение № 1) над проемами во втором и третьем этажах.

По открытии шурфа у внутренней капитальной стены (см. на плане п. № 1) выяснилось, что фундамент сложен из бутовой кладки на известковом растворе и начинается на глубине 0,7 м. от уровня пола первого (полуподвального) этажа. Обрез бутовой кладки 0,07 м., глубина заложения фундамента, считая от его обреза - 1,10 м., а следовательно от уровня пола - 1,80 м. (см. размер шурфа - приложение № 2.). Кроме того кирпичная кладка стены на уровне пола первого этажа имеет обрез 0,70 м.

Грунт в основании фундамента представляет собой легкий суглинок, довольно уплотненный, с содержанием песка от до 60%, глины 12 % и пылеватых частиц 28 %, при влажности около 11 %. Ориентировочно, (без производства испытаний пробными нагрузками) допускаемое напряжение на данный грунт может быть принято около 2,5 кгр./кв. см.

Предполагая обрезы, и с другой стороны стены, получим ширину подошвы фундамента около 1,3 м. которую принимаем в расчет напряжения на грунт.

По приблизительному под'счету напряжения на грунт в основании фундамента от существующего здания для части его, имеющей подвальный этаж и выходящей кругом на Чавча

/4

ПОЯСНИТЕЛЬНАЯ ЗАПИСКА К НАСТОЯЩЕМУ ЗДАНИЮ
ПО УЛИЦАМ ЧАПАЕВА(ЛЕНИНА) И ГОГОЛЯ(ЛЕНИНА)
№ 19 (ул. Чапаевская).

а)Общее описание существующего здания.

Представленный к надстройке дом, представляет трехэтажное угловое здание, выходящее фасадами на обе улицы.

Лестницы всех этажей являются переходными от полуподвального до жилого. Лестницы к парадному по ул. Чапаева. Лестницы здания выходящего на Чапаевскую ул. имеется подвал высотой 2 м.

Высота всех остальных этажей около 3,0 м. Толщина стен в подвальном этаже 1,20м. в первом 1,0 м. во втором 0,9 м. в третьем 0,70 м. Стены сложены из кирпича на обычном известковом растворе.

Согласно заключения ЗКЦ'а за № 3576 от 26/X-1930г. состояние кладки стен удовлетворительное.

Фундамент здания бутовый на известковом растворе, начинается на глубине 0,7 м. от уровня пола полуподвального этажа. Обрез бутовой кладки 0,07м., глубина заложения 1,10м. от обреза и 1,00 мт. от уровня пола.

Цоколь фото, выступает кладка стены на уровне пола первого этажа имеет обрез 0,70 мт.

Основание фундамента бутовое с заделанным песком около 60%, глины 12%, пылевых частей 28%, влажность 11%. Грунт достаточно уплотнен. Допускаемое напряжение может быть принято 2,5 к/см.²

Представляя обрезы с обоих сторон- наружу подошвы фундамента около 1,3 мт.

К подошве проектируемых ЗКЦ'ом напряжения в подошве фундамента от 2,6- 2,7 к/см².

По мнению ЗКЦ'а надстройка одного этажа допустима, учитывая однако перегрузку увеличение веса стен.

Толщ стен третьего этажа ЗКЦ считает необходимым принимать полнотелого пояса в целях обеспечения прочности.

б)Общее описание проекта.

Согласно заключению проекту, надстройка производится по одному типу этажа.

Для этого в конструкции предполагается использовать материалы получаемые в результате разборки существующего здания т.е.Ж.К.

К несущей предполагается устройство деревянной вентиляционной шахты, над которой сушка во дворе. Высота двух вентиляционных ходов на чердаке не должна быть менее 1 м. Вентиляционные ходы должны иметь сечение 1/2 кирпича.

От использования третьей лестничной клетки целесообразно отказаться, а саму перегородить вход в лестничную клетку через внутреннюю двойную лестницу.

Для всех лестничных клеток должно быть предусмотрено устройство вентиляционных ходов, которые должны быть выведены на чердак и иметь выход наружу.

Не отказываясь полностью от этого плана, проектировщики должны найти возможность устройства выхода с каждой лестничной клетки, через крышу балкон.

Двухэтажный флигель на 12 квартир из них- 4 однокомнатных, 8 двухкомнатных и 2 трехкомнатных. Квартиры №№ 1,2,5,6, 7 имеют отдельные входы со двора на кухни. Квартиры №№ 3 и 4 имеют общую кухню и различные входные двери четыре одиночные квартиры, расположенные отдельно. Пользуются общей кухней и ванной и обслуживаются двумя уборными.

В виду того, что убранные нижних этажей отдельными лестничными клетками, для всех санитарных удобств приходится проводить специальные стояки.

Такую проводку возможно осуществить лишь вне стен помещений. Поэтому под ванные и уборные частично отводятся чуланы балконов, а остальные размещаются вне объема, чтобы присоединить к существующим стенам и включить в существующую вентиляционную сеть.

Этим недостатком на трех верхних 50 м. Внутренние проемы устраиваются по осям предыдущих этажей.

Существующие стены в местах выемки убрали разбирается до необходимых надлежащегося этажа. Не забывайте обрезать внутри комнаты стены обрезаем по нашему желанию.

Чтобы обеспечивать использовать существующие выемки деталей, которые имеются в новым хорошем состоянии.

Кровля делается по обычной из старых подовых досок, перекрывается на существующие и деревянных необходимой числа материала.

Деревянные балки надлежащего сечения средней части и задней левого балкона делаются 10 х 25 устанавливаем на расстоянии 0,7 м. используются как и старые используются пол надлежащих.

Внутренняя часть пола левого балкона и под нужное расположены ниже пола отдельных комнат, для избежания устройства лестниц при переходе с балкона на балкон, пола балконов надлежит делать ниже существующих- новых подовых досок.

- 11 -

66

Балки в осевых направлениях. Пустотные полы должны быть армированы. Перегородки под балками и убранные железобетонные на металлических прогонах по балкам выполнять.

Наружные стены из верхнего этажа железобетонные-ступени бетонные облегченные. Наружные стены нижних железобетонные, нижний сборный железобетонный каркас.

Марка бетона монолитная.

Необходимо отметить, что в виду крайне неудобной полигональной формы здания монолитные покрытия не вполне экономичные требуют много труда.

Способ укладки бетона в зимнее время электропрогрев.

Расчет несущих конструкций.

1) Перекрытие подвала балки поперечного направления под нагрузку пола подземного этажа.

Временная 250 к/м.^{2}

Вес пола (0.035 + 0.02)750 = 35 к/м.^{2}

Вес бетона 0.1 x 1.600 = 160 к/м.^{2}

345 к/м.^{2}

Учитывая вес балок округло 350 к/м.^{2}

Нагрузка на пог.мет. балки

350 x 0.7 = 245 к/м. длина в = 5.50

$$M = \frac{245 \times 5.5^2}{8} = 1290 \text{ к.м.} = 129.000 \text{ к.м.}$$

сечение 17 x 25

$$W = \frac{17 \times 25^2}{6} = 1470 \text{ к.м.}$$

$$\sigma = \frac{129.000}{1470} = 88 \text{ к/м.}^2$$ допустимая для сухой зоны 80 к/см^2

Превышение в 8 к/м.^{2} очень мало будет учитывая высокое качество материалов.

Расчет крайней железобетонной балки.

Вес балки подвала



P- реакция балки

$$P = 350 \times 0.7 \times \frac{5 + 5}{2} = 700 \text{ к.}$$

Вес временно треугольная нагрузка.

$$\frac{1.00 \times 1.20}{2} \times 0.6 \times 1700 = 735 \text{ к.}$$

